№ 258 10 დეკემბერი, პარასკევი. 1866—1882 10 დეკემბერი, პარასკევი. № 258.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

[illegible] ბ. ივ. მუხრანის ან ხახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. კარგშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба“

„დროების“ ფასი:

თფილის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ქუთაისს თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

[illegible] ერთ ხაზზე 1 კაპ., [illegible] ერთ ხაზზე ნახევარი კაპ., [illegible] ზე 8 კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვს, რედაქცია გაანწილებს და შეიმოკლებს დანახარჯად გამოგზავნილ წერილებს. [illegible] ერთ წერილს რედაქცია უარს ამბობს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სომხურ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეა ნაბეჭდი „დროების“ [illegible] ფასი.

მომავალ 1883 წელს ეოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა და სხვა დანაკლისიების შემწეობით, მომავალის წლიდამ გაუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. ბ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში:—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: . . . . . 9 მან.	სამის თვით . . . . . 3 „
ნახევარის წლით . . . . . 5 „	ერთის თვით . . . . . 1 „

სხვა გვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვეით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. შელიქიშვილი.

ამ ასად ხელის-მოწერის გამოცხადებასთან ერთად საჭიროდ ვრაცხთ ბოდიში მოვითხოვოთ ჩვენი გაზეთისა და ყურნ. „იგვერიის“ შარშანდელ ხელის-მომწერლების წინაშე: ხსენებულ წლის ხელის-მომწერთა დავბირდით ჩვენ საჩქარად ალბომის გაგზავნას, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენდა უნებურად ვერ მოვასწარეთ ამ დაბირების შესრულება. მიზეზი ამისი გახლდათ ჩვენი ახალგაზდა მხატვარი ბ. ა. ბერიძე, რომელსაც ჩვენ თავის დროზე გარდავეცით სურათები ამ ალბომისათვის, რედაქციისაგან შედგენილი ტექსტი (უმთავრესი ნაწილი ბ. დ. ზ. ბაქრაძისა და ი. ჭ. ჟეუნარგიასაგან) და ამას გარდა, რამდენიც თვითონ ბ. ბერიძემ მოითხოვა ფული. ბ. ბერიძე დღემდინ გვიბირდებოდა ალბომის დამზადებას შეტერბურდში და გამოგზავნას; მაგრამ, რადგან აქამდინ ვერ შეგვისრულა დაბირება, ამის გამო ჩვენ დაკარგულად მიგვაჩნია ხსენებული სურათებიც, ტექსტიც და ფულებიცა და, რაც ყველაზე სამწუხროა, ჩვენი დაბირებაც შეუსრულებელი.

ამ განმარტების შემდეგ, იმედი გვაქვს, ჩვენი 1881 წლის მკითხველები მოგვიტევებენ ჩვენს უნებურ იძათ წინაშე შეცოდებასა.

ტელეგრამა

(„ნოდოლოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

7-ს დეკემბერს.

ვენა. ოფიციალური გაზეთი *Fremdenblatt* ამტკიცებს, ტუილიერ ის სმა. ვითომც რუსეთი ჯარებს ამზადებს სომრად და სიმაგრეებს აკეთებსო; რუსეთსა და ავსტრიას შორის ამ ჟამად სრული მეგობრული განწყობილება ჭსუფევსო.

ბერლინი. აქაური გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ მშვიდობიანობა დარღვეული არ იქნება. ბირჟაზე გავრცელდა სმა, რომ იმპერატორი ავათ არისო.

პარიზი. გამბეტტა ძალიან ავათ არის კუჭის ანთებით; სიგვდილის შიში აქვთ.

ბერლინი. ერთი აქაური გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთს გერმანიის საამზადვარზე დიდ ძალი ჯარი ჭყავს დამზადებული და ადმოსავლეთი პრუსია კი უჯარად არის დარჩენილიო.

პეტერბურღი. *Journal de st-Petersbourg* ამბობს, რომ გერმანიას და რუსეთს არავითარი მიზეზი არა აქვთ ერთმანეთში უკმაყოფილებისაო. ამის გამო ტუილიერ ის სმებიო, ვითომც გერმანია და რუსეთი სომრად ემზადებიანო.

ბათუმი და ბათუმელები*)

ტფილისი, 9 დეკემბერს.

დიდი დაკვირვება აქაურ ხალხის ცხოვრებისა და გამჭრიახე გონება არ არის საჭიროო, რომ ერთი დასკვნა გამოიყვანოთ: ბათუმის ხალხი—მე ვამბობ ადგილობრივ ხალხზე და არა მოსულებზე—ხალხი არ არის კმაყოფილი თავის ახლანდელ მდგომარეობისა.

ამ უკმაყოფილებას არც მალავენ. პირ-და-პირ ამბობენ:—რასაც მოველოდით, არ აგვისრულდაო. ახლანდელი ბათუმის სამხედრო გუბერნატორი ბ. სმეკალოვი რომ ჩასულიყო პირველად ბათუმში, ბეგები და საზოგადოთ ადგილობრივი გავლენიანი პირები მოეპატიჟნა და ეკითხნა იმათთვის:

— კმაყოფილნი არიან ისინი ახლანდელ თავის მდგომარეობისა, თუ არა?

— რატომ არა, კმაყოფილნი ვართო,—ეპასუხნა ერთს ბეგს,—ჯერ-ჯერობით ღვთით სული გვიდგია კიდევ და ერთი კარგი რამ ვისწავლეთ თქვენგან...

— რა ისწავლეთო? ჰკითხა, ბ. სმეკალოვმა.

— „ზავთრა“ ვისწავლეთო. უპასუხა ბეგმა.

ბ. სმეკალოვს სიცილი დაეწყო ამ გვარ ბეგის მახვილობაზე და ეთქვა—ვეცდებიო, რომ ეგ სიტყვა დაგავიწყოთო.

— ალლაჰმა ინებოს, რომ „პოსლე ზავთრა“ არ გვესწავლოს თქვენს ხელშიო! უპასუხა თურმე იმავე ბეგმა.

მაგრამ ეს იმათი საქმეების დაგვიანება და საზოგადოდ ბიუროკრატიული წესების შემოღება ამ ქვეყნის გამგეობაში როდი მარტო ერთი მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა.

მართლაც, სადაც არ გაიხედავთ ბათუმში, ყველგან ჩინოვნიკების სახლებს და ადგილებს დაინახავთ. ვერ გაგიგია—საიდამ და როგორ შეიძინა იმდენი ფული რომელმამე წვრილ ჩინოვნიკმა, რომელსაც წელიწადში, ექვსას-შვიდასი ან ათასი მანეთი ჯამაგირი ეძლევა, რომ ამ ფულით თვითონაც ცხოვრობს, ცოლშვილსაც არჩენს და კიდევ ადგილ-მამულს იძენს და ორ-სართულიან სახლებსაც კი იშენებს!

საინტერესო იქნებოდა, რომ ვისმე შეეგროვებინა ცნობები—რამდენი სახლი ეკუთვნის ბათუმში იმაურ ჩინოვნიკებს, რამდენი ღირს თითო ამ სახლთაგანი და რამდენი ჯამაგირი აქვთ წელიწადში ამ სახლის-მეპატრონეებს...

რას უნდა ჰფიქრობდნენ ამაზე ადგილობრივი მცხოვრებნი? რა სიკეთეს უნდა შეყროდა ამ გვარ პირებისაგან ხალხი, რომლის ბედსაც ისინი განაგებდნენ, რომელთანაც პირ-და-პირ კავში და დამოკიდებულობა ჰქონდათ?

— რაც გონჯი ხალხი იყო, ის გამოგვიგზავნეთო, — მითხრა ერთმა პატივცემულმა პირმა, როდესაც ადგილობრივ მოხელეებზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

საუბედუროდ, ამ „გონჯაი“ მოხელეებში ზოგიერთი ქართველებიც ერიენენ, და, მე მგონია, ამათის წყალობით არის, რომ ისინი ასე დაუნდობლად, ასე განზე გვიყურებდნენ, რომ იმათ ჩვენი არა სჯეროდათ და ჩვენს ძმობაზე თითქმის უარს ამბობდნენ. დიდის სიამოვნებით შევნიშნე, რომ დღეს ეს დაუნდობლობა თან-და-თან ისპობა და დღე-დღეზე რწმუნდებიან იქაურები, რომ იქაურ ქართველ ჩინოვნიკებს გარდა, უკეთესი ქართველები კიდევ მოიპოვებიან და ამათთან ძმობა და ერთობა ორივე მხრისთვის საჭირო და სასარგებლოა.

სამართლიანობა მოითხოვს ესთქვა, რომ აქაურ ქართველ მოხელეებში რამდენიმე ისეთი კეთილ-სიდისიანი და გონიერი პირებიც ურევიან, რომელნიც რიგიანად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ადამიანურის თვალით, და არა ისე, როგორც მეწველ ძროხას, უყურებენ ადგილობრივ ხალხს.

განსაკუთრებით უჩიენ ხალხი ადგილ-მამულის საქმეების დახლართვას და არევ-დარევას. მართლაც თითქმის მომეტებული ნაწილი ბათუმისა და იმის მაზრის მამულებისა სადაოდ გადაქცეულა. ყველას დავიდარაბა აქვს, ყველას ედავებიან, ყველას სასამართლოებში გაუჩნდა საქმე. და რადგან ახალ წესებს, რუსის სამართალს არ არიან გაცნობილნი, ბევრი სამართლიან საქმეს აგებს. საადგილ-მამულო კამისია იყო იქ დაწესებული და თითქმის ორი წელიწადი მუშაობდა ამ საგნის გასარკვევად; მაგრამ ამ კამისიას იმდენი დაბრკოლება დახვდა წინ, რომ რაც უფრო არ არია საქმეები, არა გაურკვევიათ-რა. ახლაც მუშაობს რალაც კამისია, რომელმანც ჯერ-ჯერობით იმით იჩინა თავი, რომ რაც ადრინდელმა კამისიამ ადგილ-მამულები დაარიგა და დაუსაკუთრა, ის ამან ჩამოართვა და საქალაქოდ ჩარიცხა.

აქაურ მომრიგებელ მოსამართლეზე თითქმის ყველა კმაყოფილნი არიან; მაგრამ აქაც იმას სჩიენ, რასაც თითქმის ყველგან ჩვენს მხარეში: მოსამართლეს (რუსია) ჩვენი არა ესმის-რა და ჩვენ იმისი.

„მუხაჯირების“ (გადასახლებულების) თაობაზე დიდის სიამოვნებით შეეტყვე, რომ ამ ჟამად ოსმალეთში გადასახლებას თითქმის ალარავინ ალარ ჰფიქრობს. და არა თუ დარჩენილები ალარ ჰფიქრობენ გადასვლას, არამედ ვინც გადასულან, იმათაც ისე გაჭირებიათ იქ საქმე, ისე შეწუხებულები არიან თურმე, რომ შეძლება რო ჰქონდეთ, დიდის კმაყოფილებით დაბრუნდებიან ისევ თავიანთ მამა-პაპის ქვეყანაში.

*) იხ. „დროება“, № 257.

ორიოდე სიტყვაც აქაურ ხალხის ხასიათზედაც.

ბათუმის მაზრის ადგილობრივი ხალხი თითქმის არაფრით არ განირჩევა ნამდვილ ქართველებისაგან. იგივე გულ-უხვობა და გულ-ღიაობა, იგივე მხნეობა და სიმარჯვე, იგივე პურმარილიანობა და სტუმართ-მოყვარეობა, საუბედურად იგივე მცონარეობა და ხანდისხან სიზარმაცეც განსაკუთრებით კეთილ-შობილებში. ზოგიერთები თითქმის მთელ დღეებს ყავა-ხანებში ღამებენ და ვისაც იმათი ნიხვა უნდა, ან საქმე აქვს რამე, აქ უნდა მოვიდეს. შინ კი მხოლოდ სალოცავად მიდიან და პურის საჭმელად. აქ, ამ ყავახანებში სწყვეტენ ისინი ყველა საზოგადო და კერძო საქმეებს, აქ ხშირად გაცხარებული ბაასი ტყდება ქვეყნის საქმეებზე, აქ მასლაათობენ, ზღაპრებს ამბობენ, ქალალდს თამაშობენ და სხვ. და სხვ.

მტკიცედ დაცვა მაჰომადის რჯულისა, ქალების ჩაკეტა და ეს ყავახანური ცხოვრების სიყვარული — ეს სამი ცვლილება შევნიშნე მე ამთში, სამი ცვლილება, რომელიც ოსმალოს მფლობელობას მოუხდენია. ველა დანარჩენის მხრით ესენი ახლაც ისეთი ნამდვილი ქართველები, გულით და სულით ივერნი დარჩენილან, რი დესაც ოსმალომ დაიპყრა იმათი ქვეყანა და ძმა ძმას მოაშორა.

ჩვენდა სასიამოვნოდ და სანუგეშოდ, ახლა ისინი ოგონებენ და თანდა-თან აღვიარებენ ამ დაკარგულ ძმობას. ჩვენი, აქაურ ქართველების სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს ძმური სიყვარული გრძნობა ნამდვილად, მტკიცედ გაღვიძებულიყოს ჩვენს შორის და მტკიცედვე დამკვიდრებულიყოს.

დღიური

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, ხელმწიფე იმპერატორმა გრაფ ლორის-მელიქოვს მიანიჭა უფლებაი, რომ ტფილისის საპატიო მოქალაქის წოდება ატაროსო.

* * *

გაზეთს „ბოლოსში“ მოყვანილია შემდეგი ტელეგრამმა 30 ნოემბერს გაგზავნილი ტფილისიდამ:

„ადგილობრივმა ვაჭრებმა ფინანსთ მინისტრს გაუგზავნეს ქალალდი ქაკასიის ტრანზიტის თაობაზედ. ამ ქალალდში ვაჭრებს მოჰყავთ ტრანზიტის ისტორია და სტატისტიკური ცნობანი და ამით ამტკიცებენ, რომ ტრანზიტის მოსპობა არ აღორძინებს რუსეთის წარმოებას და ოსმალეთისა და სპარსეთის სამზღვრებზე კი კონტრაბანდი საშინლად გავრცელდებაო.“

* * *

ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ აქაურ რკინის გზაზე მუშაობა გაცხარებით მიდისო ასე, რომ მომავალ წლის გაზაფხულამდინ ეს გზა, იმედია, სრულიად მზად იქნებაო. მაგრამ მუშები კი ძალიან შეწუხებული არიან ინჟინერებისაგანო; აქაურს სასამართლოში რამდენიმე საჩივარი იყო ამ ინჟინერებზე და ზოგიერთები დღესაც სჩივიან, რომ ქირას რიგზე არ გვაძლევენ, რაღაც ხრიკებს გვიდებენ ეს ინჟინერები და იმათი პოდრიადჩიკები და ნახევარ ქირასაც ველარ ვღებულობთ ამათგანაო.

* * *

ლეჩხუმელების გადასახლების თაობაზედ, გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო წერილი ლეჩხუმის მაზრის უფროსის ბ. როძევიჩისა:

„ჩემდამი რწმუნებულ მაზრიდამ გადასახლება გლეხებმა დაიწყეს მარშანდელის წლიდამ სოჭ-საკენ. პოლკოვნიკმა ნიკიფორაკამ, რომელთანაც ამ საგნის შესახებ მე მქონდა მიწერ-მოწერა, ისეთი კარგი და მოსათავსებელი ადგილები აუჩინა ამათ, რომელნიც ჰაერით ლეჩხუმის ადგილებს ემსგავსებოდნენ; ესენი დაასახლეს სოჭიდამ 12 ვერსზედ, მაღლობ ადგილზედ. მარშან ზაფხულმე თეითონ დავათვალიერე ეს გადასახლებულები და მითხრეს, რომ სრულიად კმაყოფილნი არიან თავიანთ მდგომარეობისა.

„მართლაც, თითოეულ გადასახლებულ კომლს 30 დესიატინა კარგი მიწა მისცეს; ამას გარდა აქვსთ საკმაო ტყე და გაჭირებულებს ფულითაც მისცეს შემწეობა. ამას გარდა ზოთიდამ სოჭამდინ ხომალდზე მუქთად გადაიყვანეს. ზღვიდამ ამათ სოფლამდინ საურმე გზა გაიყვანეს. ადგილობრივი მთავრობა შუამავლობს ამას გარდა, რომ სახელმწიფო გარდასახადი დროებით ეპატიოს გადმოსახლებულებს.

„ამ ჯეროობით სულ ლეჩხუმის მაზრიდამ ორმოცი ოჯახია გადასახლებული. მსენი ისეთ კარგ ამბავს იწერებიან იქიდამ, რომ, უეჭველია, იმათ კვალზე სხვებიც გადაველენ“.

* * *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ბაბრიელის ხარჯით, სოფ. ბახვში რამდენიმე წელიწადია რაც გაიხსნა სასოფლო სკოლა, რომლისთვისაც თვით ყოვლად-სამღვდელომ ააშენა შენობა, დანიშნა მასწავლებელი და სხვ. ხალხი, რასაკვირველია, ძალიან მადლობელია ეპისკოპოსისა ამ ქველ-მოქმედებისათვის, რადგან სკოლაზე კაპეიკიც არ ეხარჯებოდათ. დღემდინ მასწავლებლისაც კმაყოფილნი იყვნენ; მაგრამ დღეს ზოგიერთებისაგან უკმაყოფილება იმის იმაზე, რადგან ბავშვებს შეშის მოტანასა და ქათმებს სთხოვსო. ამას გარდა მასწავლებელი სხვა საზოგადოების შაგირდებს იღებს, სწავლის ფასს ახდევინებს იმათ, და ამის გამო თეითონ სოფ. ბახვის მცხოვრებთა შვილებისათვის კი ადგილი ალარ რჩება სკოლაშიო.

ქართული ტერმინების შემუშავება

რაოდენადაც სწავლა და განათლება წინ მიდის, რაოდენადაც მეცნიერება განზედ იწევს და ფართოდ იშლება, იმდენად ახალ-ახალი სიტყვები, ტერმინი ხდება საჭიროებად. მაგალითად ქართულს ენაზედ არის ტერმინი ერთის მადნეულისა, რომელსაც მარილს ეძახიან და მთელი საუკუნოებით არავის სცოდნია, რომ მარილი არის შედგენილი სხვა-და-სხვა ნაწილებისაგან, რომელიც გამოიკვლია მეცნიერებამ და რა იპოვა იმის შემადგენელი ნაწილები, ამ ნაწილების სახელები ანუ ტერმინები დასჭირდა და მასთან ისეთი ტერმინი, რომელიც ყველასაგან მიღებული უნდა ყოფილიყო და თითონ ახლად ამოჩენილის საგნის შესაფერიც.

ამ ტერმინების საერთოდ შემუშავება და შეძოღება ყველაზედ მეტად ჩვენ, ქართველებს, გვეჭირებოდა, რადგანაც ჩვენმა ისტორიულმა მდგომარეობამ საკმაოდ დაგვაშორა ევროპის განათლებას და ამასთან ერთად თითონ საჭირო ტერმინალოგიასთანაც.

დღევანდლამდის, ვინც-კი რომელსამე საგანს მოჰკიდებდა ხელს, მარტო თავის ქეიფზედ ადგენდა ტერმინებს და ამის გამო ლიტერატურაში ერთსა და იმავე საგნის სახელად ათას ტერმინს შეხვდებით, რომელიც რევს, უკან აყენებს საქმეს.

ამ ნაკლულევანებას და გაჭირვებას ყველანი დიდი ხანია ჭვრძნობდნენ, მაგრამ წლევანდლამდინ ვერვინ მოახერხა თავი მოეყარა მსურველთათვის და შეერთებულის ძალით შეემუშავებინათ საჭირო ტერმინები. წელს, ბ. ა. ს. ღულაძის და ბ. ი. რ. მრევლიშვილის თაოსნობით, შესდგა ეს კრება და დაიწყო მუშაობა.

რასაკვირველია, როგორც ახალი ხალხი, ახალი საქმის მუშაკნი, ბევრს შეცდომილებას ვერ აიცდენენ თავიდგან, მაგრამ ბევრშიაც დიდს სარგებლობას მოიტანენ და ლიტერატურის მუშებს დიდს შველავათს მისცემენ.

ჩვენ ჩვენ მოვალეობადა ვხედავთ, მიღებული ტერმინები სიყოველთაოდ გამოვაცხადოთ და ამით მივცეთ საშუალება იმ პირთ, ვისაც საინტერესოდ მიაჩნიათ ტერმინების შემუშავება, შეიტყონ და თავიანთი აზრი წარმოსთქვან, შეასწორონ.

ტერმინები

მიღებული პირველს სხდომაზედ.

არითმეტიკა.

Предметы однородные и разнородные—საგნები ერთ-გვარნი და სხვა-და-სხვა გვარნი.

Единица—ცალი, ერთეული, ერთი, ერთადი, ერთა.

Числа отвлеченныя и именованныя—უსაგანო და საგანიანი.

Числа цѣлыя и дробныя—მთელი და წილადი.

Счисленіе, счетъ — აღრიცხვა, თვლა.

Словесное счисленіе—ზეპირი აღრიცხვა, **письменное**—წერითი.

Классъ и разрядъ—წყობა და რიგი.

Цыфра—ციფირი.

Числа однозначныя, двузначныя и многозначныя—რიცხვნი ერთ-ნიშნიანნი, ორ-ნიშნიანნი და მრავალ-ნიშნიანნი.

Система—წესი.

Дѣйствіе—მოქმედება.

Сложеніе—მითვლა.

Вычитаніе—გამოთვლა.

Рѣшеніе—გამოანგარიშება.

Умноженіе—გამრავლება.

Дѣленіе—გაყოფა.

Слагаемыя числа—რიცხვნი მისათვლელნი.

Сумма—ჯამი.

Плюсъ—ნიშანი მითვლისა.

Задача—სარკვევი.

(გაგრძელება)

განცხადებანი

აუქციონი

11 და 18 დეკემბერს, 1882 წელსა ჰრიკაზში დანიშნულია აუქციონი გასასყიდად ვერცხლეულობისა ოქროულობისა და მეირფასი თვლებიანი ნივთებისა. (3—3)

ვ. შავერდოვის გაზეთის საბჭოში ტფილისში (ბოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბალთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და ამზღვარ ვარეთებზედაც.

(20—10)

ბ.ბ. მუშტართ ჩაისა

ჩვენის ფირმის უმორჩილესად ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლობაზე ასოთ ძ. და ს.

ძმანი ძ. და ს. პაპოვები, სავაჭრო სახლი მოსკოვში. (10—3)

ეძიმი—ბეგია

ნ. დ. ბავროლნსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

ილებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით **დედაცთა და ბავშვების** სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Декабря 1882 г. *Типографія Мсликова* ზამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი